

შპს „ლიდერფუდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სექტემბერი 2019
თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
დასკვნის ბოლო გვერდი	18

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლიდერფუდის“ მფლობელს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრებაზე უარის თქმა

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ლიდერფუდის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. ჩვენ ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს „ლიდერფუდის“ თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - 'მოსაზრების გამოთქმაზე უარის თქმის საფუძველი - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრებაზე უარის თქმის საფუძველი

მენეჯმენტმა წერილობითი ფორმით გვაცნობა გამოვლენილი თაღლითობის შესახებ. ამ ეტაპზე დავის საგანს წარმოადგენს კომპანიის ბუღალტრის მიერ 2016-2019 წლებში თანხის მითვისება, რომლის ოდენობა სავარაუდოდ შეადგენს 2 300 000 (ორი მილიონ სამასი ათასი) ლარს. დღეის მდგომარეობით გრძელდება გამოძიება და მიმდინარეობს ზიანის ოდენობის დაზუსტება. სანამ არ დაზუსტდება ზიანის ოდენობა დირექტორატი თავს იკავებს ფინანსური ანგარიშგებაზე ხელის მოწერისგან

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა. ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა.

გოჩა ჭოლოკავა

30, სექტემბერი 2019 წ.

თბილისი, საქართველო

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გაცვეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.


როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვითხოვთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა. ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა.


30, სექტემბერი 2019 წ.
თბილისი, საქართველო

გოჩა ჭოლოკავა

შპს „ლიდერფუდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2017 წელი

შპს „ლიდერფუდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2017	31-დეკ-2016	31-დეკ-2015
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	8,881,796	4,782,826	575,298
არამატერიალური აქტივები		8,910	4,750	-
ინვესტიცია	4	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,890,706	4,787,576	575,298

მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	6,775,990	1,425,759	1,663,283
წინასწარ გადახდილი გადასახადები		986,693	343,576	-
წინასწარ გადახდილი პროცენტები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	4,217,832	2,551,782	1,400,853
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	549,155	454,072	946,058
სულ მიმდინარე აქტივები		12,529,671	4,775,189	4,010,194
სულ აქტივები		21,420,377	9,562,766	4,585,492

მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები		7,485,422	6,473,931	70,986
საპროცენტო ვალდებულებები		369	-	-
სახელფასო ვალდებულებები		325,761	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	5,059,863	3,030,205	658,179
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12,871,415	9,504,136	729,165

სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		4,150	4,150	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,150	4,150	-

კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		568,787	44,787	44,787
გაუნაწილებელი მოგება		9,693	3,811,540	3,811,540
გაცემული დივიდენდი		(1,603,765)	(7,440,033)	
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		9,570,097	3,638,186	
სულ კაპიტალი		8,544,812	54,480	3,856,327
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		21,420,377	9,562,766	4,585,492

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი

სექტემბერი 2019 წ.

თბილისი, საქართველო შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ლიდერფუდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2017 წელი

შპს „ლიდერფუდი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენ.	2017 წელი	2016 წელი
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	9	38,357,324	32,771,872
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	63,972	181,257
სულ		38,421,296	32,953,129
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		17,161,938	20,781,009
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	10	5,194,003	2,776,025
ცვეთა და ამორტიზაცია		682,933	366,101
შრომის ანაზღაურება	10	5,284,048	4,308,358
კომუნალური ხარჯები		482,294	387,121
სხვა საერთო ხარჯები		-	-
სულ		28,805,216	28,618,614
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		9,616,080	4,334,515
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		233,004	179,626
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		236,102	192,906
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		49,081	709,609
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		9,570,097	3,638,186
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		9,570,097	3,638,186
სრული შემოსავალი/(ზარალი)		9,570,097	3,638,186

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

25 სექტემბერი 2019 წ.თბილისი, საქართველო. შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ლიდერფუდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2017 წელი

შპს „ლიდერფუდი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ
ბალანსი 31/12/2015	44,787	4,015,008	4,059,795
კაპიტალის ზრდა / შემცირება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)		792,645	792,645
ბალანსი 31/12/2016	44,787	792,645	837,432
კაპიტალის ზრდა / შემცირება	524,000		524,000
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)		2,319,232	2,319,232
ბალანსი 31/12/2017	568,787	2,319,232	2,888,019

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

25 სექტემბერი 2019 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ლიდერფუდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2017 წელი

შპს „ლიდერფუდი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერი

	2017 წელი	2016 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	9,570,097	3,638,186
ცვეთა და ამორტიზაცია (+)	682,933	366,101
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(5,350,231)	237,524
დებიტორული დავალიანებების ზრდა /კლება(-/+)	(2,309,167)	(1,494,505)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა /კლება(+/-)	2,355,419	2,372,026
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4,949,050	5,119,332
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/შემენა (+/-)	(4,786,062)	(4,574,230)
შვილობილი კომპანიის შესყიდვა (-/+)	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,786,062)	(4,574,230)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების მიღება/გადახდა (+/-)	1,011,860	6,402,945
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+/-)	(1,079,765)	(7,440,033)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(67,905)	(1,037,088)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	95,083	(491,986)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	454,072	946,058
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	549,155	454,072

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

25 სექტემბერი 2019 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლიდერფუდი“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობას ხორცპროდუქტების წარმოება და რეალიზაცია წარმოადგენს.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის დავით ხეიკიძე.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა #73.

კომპანიის გენერალური დირექტორია მიხეილ ელიკაშვილი.

შპს „ლიდერფუდი“ მთელი საქართველოს მასშტაბით ახდენს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას.

2017 წლის შემოდგომიდან ლიდერფუდმა წარმოება განაგრძო ახალ მასშტაბურ საწარმოში, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს პროექტ „აწარმოე საქართველოს“ თანაინვესტირებით განხორციელდა.

საწარმოს სრული ფართი შეადგენს ერთ ჰექტარს.

ბიზნეს გარემო

ვინაიდან კომპანია საქმიანობას აწარმოებს საქართველოში, იგი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდებიან განვითარებადი ბაზრების თვისებებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო ჩამოყალიბების პროცესშია და განიცდის სხვადასხვაგვარ გადაფასებებსა და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა იურიდიულ თუ ფისკალურ წინააღმდეგობებთან ერთად ქმნის სირთულეს საქართველოში მოქმედი საწარმოებისათვის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ქართული ბიზნეს გარემოს მიერ კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის მენეჯმენტისეულ შეფასებას. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

საქმიანობის სექტორი

კომპანია განახორციელებს საქმიანობას ერთ ბიზნეს სექტორსი, მისი მთავარი ამოცანაა წარმოებული ხორცპროდუქტების რეალიზაცია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2017	31 დეკ 2016
1 USD/GEL	2.5922	2.6468
1 EUR/GEL	3.1044	2.794

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2017 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად, გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება - „მსს ფასს-ზე გადასვლა“.

სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შესადარისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საზოგადოების პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი/(სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ამონაგების აღიარება

საზოგადოება ამონაგებს შეაფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება საზოგადოების მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საზოგადოების საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საზოგადოება ამონაგებში არ ითვალისწინებს მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებულ ისეთ თანხებს, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული ბრუნვის გადასახადი, საქონლისა და მომსახურების გადასახადები და დამატებითი ღირებულების გადასახადი.

სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც საზოგადოება რწმუნებულის როლში გამოდის, საზოგადოების ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საზოგადოების ამონაგები არ არის.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის

წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10% განაკვეთით.

ჩვეულებრივი იჯარა - საზოგადოება როგორც მოიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვიტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უბრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

ჩვეულებრივი იჯარის დროს საზოგადოება საიჯარო გადასახდელებს ხარჯად აღიარებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექნომსახურება) წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საზოგადოებას უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია იდენტიფიცირებადი მეთოდით.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ზოგიერთი სახის მარაგი შეიძლება მიეკუთვნოს სხვა აქტივების ანგარიშებს, მაგალითად მარაგი, რომელიც საზოგადოების მიერ გამოყენებული იყო საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების კომპონენტის სახით. სხვა აქტივზე ამგვარად მიკუთვნებული მარაგი შემდგომში აისახება წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკის იმ დებულებების მიხედვით, რომელიც ამ აქტივის ტიპის შესაფერისი იქნება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება–ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

4. ძირითადი საშუალებები

მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	წვრილმანი აღჭურვილობა და დანადგარი	გასაყიდი ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა (ქალაქი მცხეთა)	ძირითადი საშუალებები რომლებიც არ საჭიროებენ მონტაჟს	სულ
---------------------	--------------------	-------------------------	--------------------------	------------------------------------	-------------------------------	--	---	-----

შპს „ლიდერფუდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2017 წელი

ბალანსი 31-დეკ-2016	606,844	68,020	145,223	3,398,365	106,438	-	292,435	574,937	5,192,262
შემენა	1,740,297	312,091	323,529	398,154	108,835	-	1,898,994	2,937,733	7,719,633
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	2,937,733	2,937,733
ბალანსი 31-დეკ-2017	2,347,141	380,111	468,752	3,796,519	215,273	-	2,191,429	574,937	9,974,162
აკუმულირებული ცვეთა 31-დეკ-2016	47,853	5,364	11,452	267,978	8,393	-	23,060	45,337	409,435
ცვეთის ხარჯი	209,206	36,266	39,886	147,816	15,183	-	216,945	17,630	682,933
აკუმულირებული ცვეთა 31-დეკ-2017	257,058	41,630	51,338	415,794	23,577	-	240,005	62,967	1,092,367
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2016	558,991	62,656	133,771	3,130,387	98,045	-	269,375	529,600	4,782,826
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2017	2,604,199	421,741	520,090	4,212,313	238,850	-	2,431,434	637,904	8,881,796

კომპანიის გრძელვადიანი აქტივები პირობითად ორ ძირითად კატეგორიად იყოფა - ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	6,775,990	1,425,759
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	6,775,990	1,425,759

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას აქვს გასაყიდად გამიზნული მარაგები. კომპანიის ბალანსში აღიარებული მარაგები ძირითადად მოიცავს საქონელს რომელის რეალიზაცია ხდება ექსპრესის ჯიხურების მეშვეობით.

მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,931,170	2,209,368
დაზღვევა თანამშრომლების	-	-
საექვო მოთხოვნების კორექტირება	286,662	285,075
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	57,339
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	-	-

სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,217,832	2,551,782
--------------------------------	-----------	-----------

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	377,477	267,025
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	(71,310)	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	244,726	190,601
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	(1,738)	(3,554)
ფული და ფულის ეკვივალენტები	549,155	454,072

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

8. კრედიტორული ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	5,059,863	3,030,205
გადასახადების ერთიანი სახაზინო ანგარიში	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,059,863	3,030,205

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

9. შემოსავალი

საოპერაციო შემოსავლები	2017 წელი	2016 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	40,808,629	34,994,625
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(2,451,304)	(2,222,752)
თანამშრომლების სახელფასო სარგებლის დარიცხვა (დღგ-ით დასაბეგრი)	17,139	26,856
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	30,223
თანამშრომლებზე გაცემული სარგებლის დარიცხვა (დღგ-საგან გათავისუფლებული)	46,833	40,059
მოთხოვნა სადაზღვევო კომპანიის მიმართ	-	84,118
სულ	38,421,296	32,953,129

შპს ლიდერფუდი ოპერირებს ერთ ბიზნეს სექტორებში. მისი ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: წარმოებული ხორცპროდუქტების რეალიზაცია საქართველოს მასშტაბით.

არასაოპერაციო შემოსავლები	2017 წელი	2016 წელი
საპროცენტო შემოსავლები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	61,401	83,493
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	3,888	38,990
საწყოების კორექტირების ანგარიში(ნედლეული)	2,482	-

შპს „ლიდერფუდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2017 წელი

დაბრუნების ფაქტიური და დაბრუნების ღირებულებას შორის სხვაობა	(32,066)	(3,129)
ზარალის ანაზღაურება (დაზღვევა)	64,906	3,035
ზარალის ანაზღაურება	-	70,517
EBRD ის ქეშბეჭეტი მიღებულ სესხზე	134,991	-
სხვა არასაოპერაციო დასაბეგრი რეალიზაცია	500	-
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	236,102	192,906

რაც შეეხება არასაოპერაციო შემოსავლებს მათ უდიდეს ნაწილს საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები წარმოადგენს.

10. ხარჯები

კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს პერსონალის ხარჯები შეადგენს, რომელიც თავის მხრივ სამ ნაწილად იყოფა.

პერსონალის ხარჯი	2017 წელი	2016 წელი
შრომის ანაზღაურება	5,228,101	4,258,301
დაზღვევა	46,833	40,059
მივლინების ხარჯი	9,114	9,997
სულ	5,284,048	4,308,358

საოპერაციო ხარჯები მოყვანილია ქვემოთ მდებარე ცხრილში

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2017 წელი	2016 წელი
რეკლამის ხარჯები	17,009	1,828
რეკლამის ხარჯი (უსასყიდლოდ მიწოდება)	188,791	214,612
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	23,964	12,310
სარგებელი	58,541	102,224
საიჯარო ქირა	191,216	199,423
კომუნიკაციის ხარჯები	42,021	25,786
საკანცელარიო ხარჯი	36,411	27,414
დაზღვევა (ავტომობილი)	54,689	99,177
რემონტი	-	-
საკონსულტაციო ხარჯები	29,725	24,675
რემონტი ხარჯი	-	-
კომპიუტერის ხარჯები	-	-
ბანკის საკომისიო ხარჯი	25,817	33,171
უსაბუთო ხარჯები	-	-
საბანკო გარანტიის ხარჯი	-	5,257
ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	298,368	282,413
ავტომანქანის დამატებითი მოწყობილობის ხარჯი(GPS/GPRS...მონტაჟი)	14,996	9,082
საღარი აპარატის ხარჯი	3,825	3,730
მაცივრებში ნედლეულის იჯარა	78,854	114,828
ქეშბეჭეტი	1,469,205	639,741
მარკეტინგული ღონისძიებების ხარჯი	129,041	77,700
ფოსტის მომსახურება	-	-
ავტომობილებში მაცივრის მონტაჟის-შეკეთების ხარჯი	2,006	4,379
საქონლის განადგურება-დამარხვის მომსახურება	29,404	37,858
სანოტარო მომსახურების ხარჯი	-	4,928
ლაბორატორიული შემოწმების ხარჯი.. (ესპერტიზის)	10,010	16,214
1c-ის მომსახურების ხარჯი	2,570	4,189

მობილური ტელეფონის შეკეთება	1,682	1,403
სამედიცინო მომსახურება	5,693	5,332
ცეხის ტექნიკის ხარჯი	178,915	8,670
საწვავის ხარჯი	2,049,313	575,186
ვაკანსიის განთავსების ხარჯი	1,339	5,486
წარმოების ხარჯი	58,146	93,243
გამოუქვითავი ხარჯები	-	-
დახლების შეკეთების ხარჯი	-	-
სამეურნეო ხარჯი	51,286	22,304
ცეხის წვრილმანი აქსესუარები	11,024	892
მაცივრების შეკეთების ხარჯი	21,194	52,124
ავტომანქანის რეცხვის ხარჯი	27,177	18,512
ოფისის სამეურნეო ხარჯი	19,282	13,840
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,717	2,824
კომპიუტერის აქსესუარების ხარჯი	4,717	1,926
შსს მომსახურების სააგენტო	1,115	2,829
ცეხის დასუფთავების ხარჯი	27,016	21,156
სი-თი პარკის მომსახურება(პარკინგსერვისი)	68	1,291
ნიმუშების ხარჯი	254	85
უნიფორმის ხარჯი	10,664	-
დაცვის მომსახურების ხარჯი	7,938	7,984
სულ საოპერაციო ხარჯები	5,194,003	2,776,025

11. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნას მიჩნეული შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

12. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები

შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარებანაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთი ფაქტორის ცვლილების გამო, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს, ასევე სხვა მიმდინარე აქტივებს, რომელთაც მაღალი ლიკვიდურობა ახასიათებთ. მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. კომპანიის აქტუალური ლიკვიდურობის პორტფელი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

13. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი

ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

დასახელება	31-დეკ-17		31-დეკ-16	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	549,155	549,155	454,072	454,072
დებიტორული მოთხოვნები	4,217,832	4,217,832	2,551,782	2,551,782
კრედიტორული დავალიანება	5,059,863	5,059,863	3,030,205	3,030,205
გრძელვადიანი ვალდებულებები	4,150	4,150	4,150	4,150

14. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში.

კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი ფაქტორით:

- კომპანიის მფლობელი არის პიროვნება რომელიც მზად არის საჭიროები შემთხვევაში გაზარდოს საწესდებო კაპიტალი.
- კომპანიის სტრატეგია არის მომავალზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტების და სერვისების შეთავაზებაში.
- კომპანია წლების განმავლობაში ვითარდება, რაც გამოხატულია ყოველწლიური ბუნვის ზრდით, აგრეთვე კომპანიის აქტივების ჯამური ღირებულებით.
- კომპანია გახლავთ ბაზარზე ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე, მის ძირითად ბიზნეს საქმიანობაში

კომპანიას აქვს შემუშავებული სამომავლო გეგმები, რომლებიც ორიენტირებულია პროდუქციის არსების და ასორტიმენტის გაზრდაზე

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელსაც შეიძლება გავლენა მოეხდინა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება “ლიდერფუდი“

მმართველობის ანგარიშგება
2017 წელი

შინაარსი

1.	საქმიანობის მიმოხილვა	4
1.1.	შპს „ლიდერფუდის“-ს შესახებ მოკლედ	4
1.2.	კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია	4
1.3.	ბრენდების მიმოხილვა	5
1.4.	ძირითადი ბაზრები	5
1.5.	ბიზნესი და ოპერაციები	5
1.5.1.	ბიზნეს მოდელი	5
1.5.2.	განვითარების სტრატეგია	6
1.6.	ფინანსური ინფორმაცია	6
1.6.1.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა	6
1.6.2.	მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა	7
1.7.	ფინანსური რისკების მართვა	8
1.7.1.	საბაზრო რისკი	8
1.7.2.	კაპიტალის რისკის მართვა	9

1. საქმიანობის მიმოხილვა

1.1. შპს „ლიდერფუდი“-ს შესახებ მოკლედ

შპს „ლიდერფუდი“ დაარსდა 2006 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხორცპროდუქტების წარმოება. „კომპანია“ აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს და დელიკატესს დღესდღეობით „კომპანია“ აწარმოებს 140-მდე სახეობის ხორცპროდუქტს, ბრენდის ასორტიმენტი მოიცავს, როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ ევროპისა და სხვა ქვეყნების პროდუქტებს.

შპს „ლიდერფუდი“ წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილეს ხორცპროდუქტების მწარმოებელ კომპანიას ქვემოთ, მოკლედ გთავაზობთ მისი საქმიანობის აღმწერ ძირითად მონაცემებს

	2017	2016	ცვლილება %
წლიური შედეგები			
შემოსავალი რეალიზაციიდან	38,357,324	32,771,872	18%
წლის მოგება	9,570,097	3,638,186	86%
აქტივები და ვალდებულებები			
სულ აქტივები	21,420,377	9,562,766,	13%
სულ ვალდებულებები	12,875,565	9,508,286	4%
სულ კაპიტალი	8,544,812	54,480	39%
ფინანსური მაჩვენებლები			
საოპერაციო მოგების მარჟა	21,259358	12,172,120	16%
მოგების მარჟა (%)	123%	58%	
უკუგება კაპიტალზე (%)	112%	130%	
სესხი/კაპიტალი	0,87	0,118	30%
არაფინანსური მაჩვენებლები			
დასაქმებულთა რაოდენობა	508	368	38%

1.2. კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

შპს „ლიდერფუდი“ წარმოადგენს კომპანიას, რომელიც აწარმოებს ხორცპროდუქტებს „ლიდერფუდის“ და პრემიოს ბრენდით. მზა პროდუქციის დღიური გამომუშავება საშუალოდ ხორცპროდუქტებში შეადგენს 15-20 ტონას.

პროდუქციის რეალიზაციის „კომპანია“ ახდენს როგორც შვილობილ კომპანიაზე(შპს „ლიდერფუდი“) აგრეთვე გაყიდვები ხორციელდება სავაჭრო წერტილების კომპანიის მხრიდან საქონლის მიწოდების მეშვეობით ობიექტებში საკუთარი სადისტრიბუციო ავტომობილებით.

შპს „ლიდერფუდი“-ს მიერ „ლიდერფუდის“ და „პრემიოს“ ბრენდით წარმოებული პროდუქცია ორიენტირებული ხორცპროდუქტების საშუალო-ფასიან სეგმენტზე.

„კომპანია“ ფლობს FSSC 22000 ტიპის სერტიფიკატს. სერტიფიკატი მინიჭებულია როგორც ხარისხიანი პროდუქციის აგრეთვე გამართული საწარმოო ციკლისა და მოწესრიგებული მენეჯმენტის დასადასტურებლად.

„კომპანია“ დაარსების დღიდან ყოველწლიურად ვითარდება და იზრდება, ორიენტირებულია პროდუქციის ასორტიმენტის ზრდისკენ და ბიზნესის განვითარებისკენ.

1.3. ბრენდების მიმოხილვა

შპს „ლიდერფუდი“ ეტაპობრივად იხვეწებოდა და უფრო მაღალ დონეზე ადიოდა, როგორც ზოგადად მართვა და ეფექტურობა, აგრეთვე წარმოების ხარისხიც. წლების განმავლობაში ხარისხის დონის, სწორი საფასო პოლიტიკის, ფართო არჩევანისა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებულ საგემოვნო თავისებურებების შედეგად შპს „ლიდერფუდის“-ს მიერ „ლიდერფუდის“ და „პრემიოს“ ბრენდით წარმოებული პროდუქცია მაღალი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებლებში და ორივე ბრენდი იქცა ერთ-ერთ ყველაზე ცნობად სავაჭრო ნიშნად.

„კომპანიის“ პროდუქცია შემდეგი სავაჭრო ნიშნებით (ბრენდებით) იწარმოება:



1.4. ძირითადი ბაზრები

შპს „ლიდერფუდი“-სთვის ხორცის წარმოება ბიზნესის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს. შედეგად, ხორცპროდუქტების წარმოება „კომპანიისთვის“ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საინვესტიციო ბაზარს საქართველოში.

1.5. ბიზნესი და ოპერაციები

1.5.1. ბიზნეს მოდელი

შპს „ლიდერფუდი“-ს პროდუქციის ბაზარს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორია, საქართველოს ბაზარზე პროდუქციის მიწოდება ნაწილობრივ ხორციელდება სუპერმაკეტების ქსელ „ლიდერფუდის“ მეშვეობით, რომელს ეკუთვნის იგივე სახელწოდების მქონე რითეილ კომპანია შპს „ლიდერფუდს“ რომელის თავის მხრივ წარმოადგენს ხორცპროდუქტების მწარმებელ კომპანიის „ლიდერფუდის“ შვილობილ კომპანიას. რაც შეეხება დარჩენილ

რეალიზაციას, იგი მოიცავს როგორც საცალო აგრეთვე ქსელურ მარკეტებს. მათთვის ისევე როგორც რითეილ კომპანიაა შპს „ლიდერფუდი“-სთვის პროდუქციის მიწოდება ხორციელდება ხორცპროდუქტების მწარმოებელ კომპანია შპს „ლიდერფუდის“ კუთვნილ სადისტრიბუციო ავტომობილებით.

ნედლეულის შეძენას „კომპანია“ ახდენს როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ბაზარზე. მომწოდებლები არიან როგორც ადგილობრივი ქართული, ასევე საერთაშორისო კომპანიები.

მსხვილი შესყიდვების დროს „კომპანია“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი. „კომპანია“ შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს, რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა მიღწეულ იქნას საუკეთესო საბაზრო ფასი.

ადგილობრივი პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლებისა და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

1.5.2. განვითარების სტრატეგია

უახლოეს მომავალში „კომპანია“ გეგმავს ასორტიმენტის გაფართოებას, ახალი პროდუქტების დამატებას, რათა სრულად გამოიყენოს მის მიერ შექმნილი უკვე პოპულარული ბრენდების „ლიდერფუდი“ და „პრემიო“ პოტენცილი. შესაბამისად „კომპანია“ გეგმავს წარმოების გაფართოებას, რათა უზრუნველყოს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

1.6. ფინანსური ინფორმაცია

შპს „ლიდერფუდი“-მა ფინანსური ანგარიშგებისთვის პირველად გამოიყენა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები 2017 და 2018 წლებში. 2017 წლის განმავლობაში კომპანიის აქტივები შეადგენდა შესაბამისად 21,420,377, ხოლო რაც შეეხება ვალდებულებას - 9,508,286. პერიოდის განმავლობაში განხორციელდა დივიდენდის გაცემა 1,603,765 ოდენობით, ხოლო პერიოდის ფინანსური შედეგი დაფიქსირდა მოგება 9,570,097 ლარის ოდენობით.

1.6.1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

კომპანიის აქტივები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ სრულმა აქტივებმა 21,4 მილიონი ლარი შეადგინა, წინა წელში ეს მაჩვენებელი 9,5 მილიონი ლარი იყო. აქტივების ზრდა განპირობებული იყო როგორც მანქანა დანადგარების განახლებით და ახალი თანამედროვე დანადგარების შეძენით, აგრეთვე მიმდინარე აქტივების ზრდით.

გრძელვადიანი აქტივები წარმოადგენს ჯამური აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს, ეს განპირობებულია „კომპანიის“ სპეციფიკით, შპს „ლიდერფუდი“ საწარმოო კომპანიაა და სწორედ ამიტომ, მისი აქტივების უდიდესი ნაწილი უჭირავს ძირითად საშუალებებს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2017	2016
მიმდინარე აქტივების ნაწილი	12,529,671	4,775,189
სრული აქტივების ნაწილი	21,420,377	9,562,766

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ „კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალის ძირითად კომპონენტს და მიმდინარე ვალდებულებების უდიდეს ნაწილს. სავაჭრო ვალდებულებები, 2017 წლის ბოლოს შეადგენდა 12,871,415 ლარს. თანხობრივი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ლიდერფუდის საქმიანობის გაფართოებით და ეფექტურობით. ბაზარზე პოზიციების გამყარების კვალობაზე, „კომპანიას“ საშუალება მიეცა უკეთესი პირობები მიეღო სავაჭრო პარტნიორებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები	2017	2016
მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი	12,871,415	9,504,136

კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 568,787 ათას ლარს, ხოლო 2016 წელს 44,787 ლარს.

1.6.2. მოგება-ზარალის ანგარიშების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

2017 წელს, რეალიზაციამ 38,4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 17%-იან ზრდას შეადგენს წინა წელთან მიმართებით; ხოლო 2016 წლისთვის „კომპანიის“ გაყიდვები 32,8 მილიონი იყო.

საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან:	2017	2016
შედევები საოპერაციო საქმიანობიდან	9,570,097	3,638,186
მოგების მარჟა	123%	57%

საოპერაციო ხარჯები	2017	2016
ადმინისტრაციული ხარჯი	5,194,003	2,776,025
სხვა საერთო ხარჯი	-	-

„კომპანიის“ საოპერაციო ხარჯების შემადგენელი ნაწილების დინამიკა:

2017 წლის განმავლობაში კომპანიის დანახარჯები შეადგენდა 28,805,216 ლარს, მისი დიდი ნაწილი შეადგინა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებამ.

არასაოპერაციო ხარჯები და წლის მოგება:

არასაოპერაციო ხარჯები 2017 წელს შეადგენდა 233,004 ლარს, აღნიშნულ კომპონენტში წინა წელთან შედარებით აღინიშნება 30%-იანი ზრდა.

საოპერაციო საქმიანობის შედეგები	2017	2016
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	233,004	179,626
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	9,570,097	3,638,186
მოგების გადასახადი	-	-
წლის მოგება	9,570,097	3,638,186
წლის მოგების მარჟა	123%	57%

1.7. ფინანსური რისკების მართვა

1.7.1. საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო

ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარებანაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

1.7.1 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს, ასევე სხვა მიმდინარე აქტივებს, რომელთაც მაღალი ლიკვიდურობა ახასიათებთ. მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. კომპანიის აქტუალური ლიკვიდურობის პორტფელი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

1.7.2. კაპიტალის რისკის მართვა

„კომპანია“ ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით.

„კომპანიის“ კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და აკუმულირებულ მოგებას. „კომპანიის“ მენეჯმენტი აფასებს „კომპანიის“ კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა.

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში მმართველობით ანგარიშგებაზე

შპს „ლიდერფუდ“-ის ხელმძღვანელობას

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს ლიდერფუდ-მა („კომპანია“) მოამზადა მმართველობის ანგარიშგება 2017 წლისათვის.

ჩვენ ჩავატარეთ კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2019 წლის 26 სექტემბერს გავაცეთ ჩვენი დასკვნა, სადაც გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეხება იმ სხვა ინფორმაციას რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადა კომპანიამ და წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგებაში. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნის გაცემის შემდეგ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

აუდიტორიის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე:

- ა) გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვედნილობაზე კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ბ) აუდიტის განხორციელების პროცესში კომპანიის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი;
- გ) შევამოწმოთ, ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე 7 პუნქტის „ა“ , „ბ“ და „დ“ – „ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ა) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.

ბ) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

აუდიტორი:

გოჩა ჭოლოკავა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ა) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.

ბ) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

აუდიტორი:



გოჩა ჭოლოკავა